საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ქ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.12.2021

საჩივრის რეგისტრაციის №090/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. ს.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. ს.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 08 დეკემბერს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. გ. -მ და მოითხოვა ადვოკატ ე. ს.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ქ. გ. დაესწრო 2022 წლის 10 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც დაადასტურა საჩივარში აღწერილი გარემოებები.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2020 წლის ივნისის თვეში სისხლის სამართლის საქმეზე საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართა ადვოკატ ე. ს.-ს. 2020 წლის 13 ივნისს, №17/3405 ორდერის გამოწერის შემდეგ, მხარეთა შორის დაიწყო ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქმე შეეხებოდა ყალბი დაბადების მოწმობით ნ. ვ.- გ.-ის მიერ საჩივრის ავტორის მეუღლის სამკვიდრო ქონების მიღებასა და ნოტარიუს ნ. ს.-ის მიერ ყალბი დოკუმენტის გაცემას, რის საფუძველზეც, 2013 წელს, ნ. ვ.- გ.-მა მიიღო სამკვიდრო ქონების ¾ ნაწილი. აღნიშნული გარემოებების შესახებ საჩივრის ავტორმა 2015 წელს შეიტყო, როდესაც სასამართლომ ბათილად ცნო მის მიერ დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. სწორედ ყალბი დაბადების მოწმობით უკანონოდ განაწილებულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით დასჭირდა საჩივრის ავტორს ადვოკატის სამართლებრივი დახმარება.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გარანტია მისცა სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე; საქმე სამი მიმართულებით აწარმოა და პროკურატურას სამი განცხადებით მიმართა. განცხადებები ეხებოდა ყალბ დაბადების მოწმობას, საჩივრის ავტორის მიერ დადებული ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების უკანონო ბათილობასა და ნოტარიუსის მიერ ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულს. აღნიშნული იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ, ჰონორარის სახით ადვოკატმა მოითხოვა 1 200 აშშ დოლარი, 1 000 აშშ დოლარი და 800 აშშ დოლარი, მთლიანობაში 3 000 აშშ დოლარი, რომელიც საჩივრის ავტორმა ეტაპობრივად გადაიხადა 2020 წლის 13 ივნისიდან, 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით. ქ. გ. -ის განცხადებით, ადვოკატისათვის 700 აშშ დოლარის გადაცემის ფაქტს ესწრებოდა მისი ძმიშვილი გ. გ., ხოლო ადვოკატისათვის ჰონორარის გადაცემის რამდენიმე ფაქტს შეესწრო ე. ს.-ის მდივანი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ადვოკატმა ე. ს.-მ პროკურატურისათვის წარდგენილ განცხადებაში ყურადღება არ გაამახვილა ნასყიდობის ხელშეკრულების უკანონო ბათილობის საქმეზე, კერძოდ, განცხადებაში სრულყოფილად არ გამოკვეთა ყველა მნიშვნელოვანი გარემოება და არ ინტერესებოდა საქმის მსვლელობით.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, პოლიციის დეპარტამენტში განცხადებების შეტანისას და გამოკითხვების დროს ადვოკატი ე. ს. მასთან ერთად იმყოფებოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტისგან სამივე განცხადების პასუხად შეატყობინეს, რომ განცხადებებში მოყვანილი გარემოებები არ შეიცავდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ე. ს.-მ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, არ დაინტერესებულა საქმის მიმდინარეობით და 2020 წლის ივნისიდან, 2021 წლის 15 ნოემბრამდე მხოლოდ ტყუილი დაპირებებით შემოიფარგლა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 23 აპრილს საჩივრის ავტორმა თავად მიმართა პროკურატურას განცხადებით, ნ. ვ.- გ.-ის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ. იმავე

განცხადებით მიმართა პროკურატურას 2021 წლის 22 ოქტომბერსაც, თუმცა პასუხი საჩივრის ავტორს არც ერთი განცხადების თაობაზე დღემდე არ მიუღია.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის დაბრუნება, რისთვისაც ადვოკატმა უხეშად უპასუხა, იქცეოდა ადვოკატის პროფესიისათვის შეუფერებლად და განუცხადა, რომ მას ევალებოდა მხოლოდ კლიენტისთვის მიმართულების მიცემა თუ რა სახის განცხადებით მიემართა პროკურატურისათვის. ადვოკატმა უარყო ქ. გ. -ისაგან ჰონორარის მიღების ფაქტი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აღნიშნული საუბარი ჩაიწერა ადვოკატის თანხმობით.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, ცილისწამებას წარმოადგენს ადვოკატის განცხადება, ქ. გ. -ის მიერ გამოძიების შეცდომაში შეყვანისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არაკეთილსინდისიერად და არაკვალიფიციურად აწარმოა სისხლის სამართლის საქმე; გარანტია მისცა კლიენტს საქმის შედეგებზე, თუმცა საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის მისაღები შედეგი, რის გამოც ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებასა და თანხის დაბრუნებას.

2. მოწმე გ. გ.-ის პოზიცია:

2.1 მოწმე გ. გ., რომელიც არის საჩივრის ავტორის ძმიშვილი, დაესწრო საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 17 თებერვლის სხდომას, სადაც განმარტა, რომ ადვოკატ ე. ს.-ს საჩივრის ავტორთან ერთად სულ სამჯერ შეხვდა. პირველი შეხვედრის დროს გ. გ. ესწრებოდა ადვოკატისთვის ჰონორარის სახით 700 აშშ დოლარის გადაცემას, რა დროსაც ადვოკატმა გააფორმა ორდერი.

2.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მათ არწმუნებდა, რომ კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და ორჯერ დაესწრო საჩივრის ავტორის მიერ პოლიციაში ჩვენების მიცემას.

3. მოწმე დ. გ.-ის პოზიცია:

3.1 მოწმე დ. გ., რომელიც არის საჩივრის ავტორის ძმიშვილი, დაესწრო საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 17 თებერვლის სხდომას, სადაც განმარტა, რომ ადვოკატ ე. ს.-ს, ქ. გ. -მ მიმართა სისხლის სამართლის საქმეების წარმოების მიზნით.

3.2 მოწმის განმარტებით, ე. ს.-ს გარანტია არ მიუცია კლიენტისათვის საქმის შედეგებზე, თუმცა საჩივრის ავტორთან საუბრისას პერსპექტიულად აფასებდა სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას და არწმუნებდა ქ. გ. -ს პროკურატურისათვის მიემართა მისი კოლეგების ბ. ბ. -ისა და ტ. ა. -ს მიმართ, ვინაიდან ადვოკატების ქმედებებში შეინიშნებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. მოწმის განცხადებით, ადვოკატის რჩევის შესაბამისად, ქ. გ. -მ საჩივრებით მიმართა საქართველოს პროკურატურას.

3.3 მოწმის განმარტებით, მან და მისმა ძმამ - გ. გ.-მ არაერთხელ გადასცეს ქ. გ. -ს თანხა, ადვოკატისათვის საადვოკატო მომსახურების საფასურის გადასახდელად.

3.4 მოწმის განმარტებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, პროკურატურისაგან მიიღო პასუხი, რომ ქ. გ. -ის მიერ წარდგენილ საჩივრებში არ არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები.

3.5 მოწმის განმარტებით, ადვოკატისათვის 700 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს ესწრებოდა მისი ძმა გ. გ., ხოლო დარჩენილი ჰონორარის ადვოკატისათვის გადაცემის ფაქტებს სხვა პირი არ დასწრებია.

3.6 მოწმის განმარტებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ადვოკატმა შეატყობინა, რომ წყვეტდა ქ. გ. -ის საადვოკატო მომსახურებას. რის შემდეგაც, მოწმემ მოითხოვა გადახდილი ჰონორარის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განაცხადა, რომ ქ. გ. -ისაგან ჰონორარი არ მიუღია.

3.7 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ე. ს. მათთან საუბრისას იყენებდა არაკორექტულ ფრაზებს და მისი ქცევა არ შეესაბამებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ სტანდარტს.

4.ადვოკატის პოზიცია:

4.1 ადვოკატმა ე. ს.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 29 დეკემბერს, სადაც განმარტა, რომ ქ. გ. -ის საჩივარი არის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 24 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

4.2 ადვოკატის განცხადებით, ის საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურებას უწევდა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც აწარმოა სამი მიმართულებით; საჩივრის ავტორის ნების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურაში წარადგინა სამი განცხადება და ქ. გ. -ს თან ახლდა პოლიციაში ჩვენებების მიცემის დროს. ადვოკატი განმარტავს, რომ მხარეთა შეთანხმებით, კლიენტის ინტერესები უნდა წარმოედგინა გამოძიების ეტაპზე საქმისწარმოებისას, რაც ასევე დასტურდება 2020 წლის 13 ივნისის ორდერით.

4.3 ადვოკატის განმარტებით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-7 სამმართველოში არაერთხელ დაესწრო საჩივრის ავტორის მიერ ჩვენების მიცემას, სადაც კლიენტს განუმარტა ცრუ ჩვენების მიცემის შედეგები. საჩივრის ავტორმა ჩვენება მისცა ნ. გ.-ის, ადვოკატ ბ. ბ. -ის და კიდევ ერთი ადვოკატის მიმართ. ნ. გ.-ის და ბ. ბ. -ის საჩივარზე ქ. გ. -ს წერილობით ეცნობა, რომ მის მიერ დასახელებული ფაქტები არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, ხოლო მესამე საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეა.

4.4 ადვოკატის განმარტებით, კლიენტისათვის საქმის შედეგებზე გარანტია არ მიუცია.

4.5 ადვოკატის განმარტებით, მან საჩივრის ავტორისაგან მიიღო მხოლოდ 50 ლარი, რაც წარმოადგენდა საჩივრის ავტორის პოლიციის სამმართველოში ტრასპორტირების ხარჯს.

4.6 ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან შეთანხმების შესაბამისად, ქ. გ. -ს საადვოკატო მომსახურების საფასური სისხლის სამართლის საქმისწარმოების დასრულების შემდეგ უნდა გადაეხადა.

4.7 ადვოკატის განმარტებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის მიზეზი გახდა ე. ს.-ის უარი, გაეზიარებინა საჩივრის ავტორის სტრატეგია და დახმარებოდა მას სხვა ადვოკატების მიმართ ცრუ ჩვენების მიცემის საქმეში.

4.8 ადვოკატის განცხადებით, 2021 წლის ნოემბერში სატელეფონო საუბრისას საჩივრის ავტორი დაემუქრა, რომ ბრალს დასდებდა ფულის მოტყუებით გამოძალვაში, რის შემდეგაც, ქ. გ. , ძმიშვილთან - გ. გ.-სთან ერთად გამოცხადდა ადვოკატის სამუშაო ოფისში და მოსთხოვა მას გადახდილი ჰონორარის დაბრუნება. ადვოკატის განმარტებით, ქ. გ. -მ თავისი ხელით შეადგინა ხელწერილი, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა მის მიერ ნაწარმოებ საქმეებზე ჰონორარის სახით მიიღო 3 000 აშშ დოლარი და მოსთხოვა ადვოკატს ხელწერილის ხელმოწერით დადასტურება. ადვოკატმა უარი განაცხადა დოკუმენტის ხელმოწერაზე, რადგან არ ადასტურებდა თანხის მიღების ფაქტს. საჩივრის ავტორის ძმიშვილმა გადაწყვიტა აღნიშნული ფაქტის აუდიო ჩაწერა, რაზეც ადვოკატმა თანხმობა გამოთქვა, კიდევ ერთხელ უარყო ჰონორარის სახით 3 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი და განაცხადა, რომ საჩივრის ავტორი ცდილობდა გამოძიების შეცდომაში შეყვანას ცრუ ჩვენების მიცემის გზით.

4.9 ადვოკატის განცხადებით სიმართლეს არ შეესაბამება ყალბი საბუთების გამოყენებით სამკვიდრო ქონების მიღება, ვინაიდან, აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, რომელთა შესახებაც ცნობილია საჩივრის ავტორისთვის.

II სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

5.1 ადვოკატი ე. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

5.2 ქ. გ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 08 დეკემბერს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

6. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არაკეთილსინდისიერად და არაკვალიფიციურად აწარმოა საქმე: პროკურატურისათვის წარდგენილ განცხადებაში არ ასახა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება და არ ინტერესდებოდა საქმის მსვლელობით; კლიენტს არწმუნებდა საქმის პერსპექტიულობაში და გარანტია მისცა საქმის შედეგებზე, თუმცა საქმეზე არ დადგა კლიენტისათვის სასურველი შედეგი.

7.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ე. ს.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–3 ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით.“

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

7.3 „ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, რომ იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N077/13).

7.4 ადვოკატის მიერ მომსახურების კეთილსინდისიერად გაწევის ვალდებულება არის სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის ერთ-ერთი ძირეული ნორმატიული პრინციპის - კეთილსინდისიერების ვალდებულების (სსკ 8.3 მუხლი), რომელიც ამავდროულად სუბიექტური შემადგენელის მატარებელია, კერძო გამოხატულება. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სამართალში არსებობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია (სუსგ №ას-589-2019 პარ. 28, შეადარეთ ასევე სუსგ: ას-899- 1185-09, ას-1252-1181-2012; ას-23-23-2016). ეთიკის კომისიის აზრით აღნიშნული პრეზუმფცია სრულად გამოსაყენებელია ადვოკატის პროფესიულ საქმიანობის შეფასებისას: „საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად ასრულებს ხელშეკრულებით და პროფესიული წესებით დაკისრებულ მოვალეობებს, ეს განსაკუთრებით ნათელია იმ როლის გათვალისწინებით, რომელიც ადვოკატს და ადვოკატის პროფესიას აქვს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.“ (N089/17, პარ. 6.3.8).

7.5 ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან

გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები).“

7.6 ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებები ადასტურებს, რომ ადვოკატი ე. ს. მოქმედებდა კლიენტის მითითებების გათვალისწინებით: სისხლის სამართლის მიმართულებით აწარმოა საქმე; პროკურატურას მიმართავდა განცხადებებით; კლიენტს თან ახლდა პოლიციის დეპარტამენტში გამოკითხვების დროს; ხშირად ხვდებოდა ქ. გ. -ს და აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობაზე. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ რომ ადვოკატის მიერ განხორციელებულია საადვოკატო მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავდა კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიღებას. 2020 წლის 13 ივნისის ორდერით დასტურდება, რომ ადვოკატ ე. ს.-ს ქ. გ. -ისათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია გამოძიების ეტაპზე, რაც საქმეში წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით, ადვოკატმა კეთილსინდისიერად განახორციელა.

7.7 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომელიც ეხება ადვოკატის მიერ პროკურატურისათვის წარდგენილი განცხადების შინაარსსა და სტრატეგიას და განმარტა, რომ ეთიკის კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატ ე. ს.-ის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ხარისხს, რაზეც დაყენებული პრეტენზიების შინაარსიდან გამომდინარე დავობს ადვოკატის ყოფილი კლიენტი, ქ. გ. . ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი შეაფასოს ადვოკატ ე. ს.-ის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებების ხარისხი და ადვოკატის მიერ შემუშავებული სტრატეგია. ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ წარმოადგენს მიუთითოს ადვოკატს როგორ უნდა შეედგინა პროკურატურისათვის წარსადგენი განცხადება და როგორი სამართლებრივი ტაქტიკა იქნებოდა უკეთესი. ეთიკის კომისიამ უნდა გაარკვიოს ადვოკატმა ე. ს.-მ მისცა თუ არა გარანტია კლიენტს საქმის შედეგებზე.

7.8 მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ქ. გ. -ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა ე. ს.-მ მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები და გარანტია მისცა მას საქმის შედეგებზე, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ საჩივარში წარმოდგენილი სადავო მოქმედება ჩაიდინა ადვოკატმა ე. ს.-მ. ქ. გ. -ს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც მაღალი ალბათობით დაადასტურებდა ადვოკატის კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტს. აღნიშნული ფაქტი ასევე არ დაადასტურეს საჩივრის ავტორის მოწმეებმა, რომელთა განმარტებების მიხედვით, ადვოკატი გამოთქვამდა შეფასებებს, თუმცა საქმის შედეგებზე 100 პროცენტიანი გარანტია კლიენტისათვის არ მიუცია. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მხრიდან სასარჩელო რისკების დაანგარიშება და საქმის პერსპექტიულობის შეფასება საადვოკატო საქმიანობის ნაწილია და არ არღვევს გარანტიის მიცემის დაუშვებლობის პრინციპს.

7.9 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც, ადვოკატს გადაუხადა 3000 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს გამოუმუშავებელ ჰონორარს და ითხოვს თანხის დაბრუნებას.

7.10 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. ს.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი''.

7.11 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 10 დეკემბრის N037/14 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავის ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“. (იხ. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმე N037/14, 10.12.2014)

7.12 მხარეთა ახსნა განმარტებებით; მოწმეთა ჩვენებებითა და ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატმა 2020 წლის 13 ივნისს ქ. გ. -ის ინტერესების დასაცავად ამოწერა ორდერი, რომლის მიხედვითაც ადვოკატს საჩივრის ავტორის ინტერესები უნდა დაეცვა გამოძიების დასრულებამდე; ადვოკატმა განახორციელა მთელი რიგი საპროცესო მოქმედებები: შეისწავლა საქმის მასალები; დასახა სამოქმედო სტრატეგია; სამი განცხადებით მიმართა საქართველოს პროკურატურას და კლიენტთან ერთად ესწრებოდა პოლიციაში მისი გამოკითხვის პროცესს, თუმცა საქმისწარმოების დასრულებამდე, ადვოკატსა და კლიენტს შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო, ადვოკატის ინიციატივით დასრულდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა.

7.13 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ ჰონორარის მიღების ფაქტზე მტკიცების ტვირთი საჩივრის ავტორს აწევს. მტკიცების სტანდარტზე ეთიკის კომისია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებას №ას-872-830-2013, რომლის მიხედვითაც ,,საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმოადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ ელემენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერთად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე“. აუცილებელია ისეთი მტკიცებულებების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებს სადავო ფაქტს, ამ შემთხვევაში ადვოკატის მიერ ჰონორარის - 3000 აშშ დოლარის მიღებას. ადვოკატის მიერ ჰონორარის მიღების ფაქტის დასადასტურებლად საჩივრის ავტორმა წარმოადგინა საკუთარი და მოწმის პოზიცია, კერძოდ 2022 წლის 17 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმემ - საჩივრის ავტორის ნათესავმა გ. გ.-მ დაადასტურა ადვოკატისათვის ჰონორარის ნაწილის გადახდის ფაქტი. საპროცესო კოლეგია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებას საქმეზე Nას-28-25-2017 და განმარტავს, რომ მოწმის ჩვენება სანდოობისა და ობიექტურობის კრიტერიუმებთან ერთად, მხარეთა შორის უდავო/სადავო ფაქტებისა და მათი განვითარების ქრონოლოგიასთან, ასევე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოთქმულ შედავებებთან ერთობლიობაში უნდა შემოწმდეს და ამ გზით უნდა დადგინდეს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. ადვოკატისათვის ჰონორარის გადახდის ფაქტის დასადასტურებლად კომისია საკმარისად ვერ მიიჩნევს ერთი მოწმის განმარტებას იმ პირობებში, როდესაც ვერ დგინდება ფაქტი: ადვოკატი არ ეთანხმება სადავო ფაქტს და მოწმის ჩვენებასთან ერთად არ არსებობს სხვა მტკიცებულება. ამასთან, საპროცესო კოლეგია უთითებს, რომ ეთიკის კომისია განიხილავს დავას მხოლოდამხოლოდ ადვოკატის ქცევის ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ის არ წარმოადგენოს სასამართლოს და არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი სამოქალაქო სამართლებრივი დავა. ასეთი დავის არსებობისას მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნით და აწარმოოს სამოქალაქო სამართლებრივი დავა ადვოკატის წინააღმდეგ.

7.14 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინურ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დარღვეულად არ მიიჩნევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი.

7.15 ეთიკის კომისია ადვოკატ ე. ს.-ის საყურადღებოდ განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას აწარმოოს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, რასაც პრევენციული ხასიათი აქვს მომავალში თანხასთან დაკავშირებული პრეტენზიებისგან თავის დასაცავად. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში ადვოკატის მიერ ეთიკის კომისიაში ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა არ არის საკმარისი საფუძველი დისციპლინური დევნის აღძვრისათვის, თუმცა კომისიას უქმნის ვარაუდს, რომ კლიენტთან ურთიერთობაში შესაძლოა არსებობდა ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები, რაც პროფესიულ ურთიერთობებში ადვოკატების მხრიდან დამატებით მუშაობას და გულისხმიერებას მოითხოვს და კომისიის კოლეგიალური რჩევაა, ადვოკატებმა კლიენტებთან ურთიერთობისას აწარმოონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. ადვოკატმა ხარჯთაღრიცხვა უნდა შეადგინოს საქმისწარმოების პარალელურად.

ანგარიშგება, წარმოების ფორმის მიხედვით, შესაძლებელს უნდა ხდიდეს დოკუმენტის შედგენისა და წარმოების დროის დადგენას.

7.16 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატების მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3, მე-5 და მე-15 ნაწილების დარღვევა.

7.17 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №090/21 ადვოკატ ე. ს.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/